



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 253/ს  
06/06/2023

253-21-4-202306061226



**გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალდაბაში შპს „ჩემი ფერმა 3“-ის ნავთობპროდუქტის  
საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის  
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ჩემი ფერმა 3“-ის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალდაბაში ნავთობპროდუქტის საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2023 წლის 19 აპრილს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჩემი ფერმა 3“-ის კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობა) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №079800.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალდაბაში შპს „ჩემი ფერმა 3“-ის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 66.43.13.000.524). საპროექტო ტერიტორიაზე 2008-2011 წლებში ფუნქციონირებდა ი/მ ივანე მაჭარაშვილის ავტოგასამართი სადგური. 2022 წლის 27 მაისს აღნიშნული ობიექტი პირდაპირი შესყიდვის წესით გადაეცა შპს „ჩემი ფერმა 3“-ს. ობიექტის განთავსების GPS კოორდინატებია: X- 421520; Y-4654929. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 60 მეტრით, ხოლო ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების ადგილიდან - 110 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 46 მეტრში ფუნქციონირებს თევზსაშენი მეურნეობა, ხოლო 780 მეტრში მიედინება უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. დიდი ლიახვი.

დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია 2 ერთეული ნავთობპროდუქტის შესანახი მიწისქვეშა რეზერვუარი (ჯამურად 29,177 მ<sup>3</sup>), რომელთაგან 16 მ<sup>3</sup> მოცულობის მქონე რეზერვუარი განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 13,177 მ<sup>3</sup> - დიზელის საწვავისთვის. რეზერვუარები დამზადებულია ლითონისაგან, განთავსებულია ბეტონის სარკოფაგში, დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით

და აღიჭურვილია სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე: 3 მეტრი, დიამეტრი: 0,05). ავტოგასამართ სადგურზე ასევე მოწყობილია საოპერატორო შენობა და საწვავმარიგებელი სვეტების ფარდული. საპროექტო ტერიტორია მობეტონებულია და გაყვანილია რეზერვუარებისა და საწვავმარიგებელი სვეტის დამაკავშირებელი მილები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე დამატებით მოეწყობა ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სახანძრო ინვენტარი, მეხამრიდი, სალექარი/სეპარატორი, საწრეტი არხები და ერთი ერთეული საწვავის ორმხრივმარიგებელი სვეტი (6 ერთეული ე.წ. „პისტოლეტით“). რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტი, მიწისქვეშა მილსადენების საშუალებით, მიეწოდება მარიგებელ სვეტს, საიდანაც მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია 2 500 000 ლიტრი ბენზინის და 2 500 000 ლიტრი დიზელის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი და დასაქმდება 3 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება მოხდება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით, რისთვისაც წყალადება გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი ჭიდან, რომელზეც მოპოვებული იქნება შესაბამისი ლიცენზია. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება სასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლაც განხორციელდება საჭიროებისამებრ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით, ხოლო ნავთობპროდუქტის გასაცემი სვეტი განთავსდება გადახურულ, ფარდულის ტიპის ნაგებობაში, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. ობიექტის ტერიტორიაზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტი, საწრეტი არხების გავლით, შეიკრიბება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულ 3 ლ/წმ წარმადობის სეპარატორში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (მათ შორის სეპარატორში დაგროვებული ნარჩენი), შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება ავტოგასამართი სადგურის მოწყობის პროცესში წარმოქმნილ სამშენებლო ნარჩენს, მისი მართვა განხორციელდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტის ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება საწვავის მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან

გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის გამომწვევი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ავტოგასამართი სადგურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს, მათი მასშტაბის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ყოფილი ავტოგასამართი სადგურის ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა გორის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტის საცავების მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს. სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.


**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალდაბაში შპს „ჩემი ფერმა 3“-ის ნავთობპროდუქტის საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ჩემი ფერმა 3“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჩემი ფერმა 3“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჩემი ფერმა 3“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.№6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

